

1. პროგრამის დასახელება : მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

2. პროგრამის განხორციელების ვადები: 01 იანვარი 2012 წელი  
31 დეკემბერი 2012 წელი

3. პროგრამის დაფინანსების წყარო: ქალაქ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტი

4. პროგრამის ბიუჯეტი: 195 000 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი)  
ლარი

5. პროგრამის მიზანი: - მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა,  
- მე-4 და ყოველი შემდეგი ახალშობილის შექმნაზე მატერიალური დახმარების  
გაწევა

6. განსახორციელებელი ღონისძიებები:

- მოქალაქეთა განცხადებების და თანდართული დოკუმენტების განხილვა-პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა

- ბენეფიციარებზე მატერიალური დახმარების გაცემა: მრავალშვილიან ოჯახზე ერთჯერადად 700 ლრის ოდენობით. მე-4 შვილის შექმნაზე 400 ლარის ოდენობით, მე-5 შვილზე 500 ლარის ოდენობით, ყოველ შემდეგ შვილზე თანხა გაიზრდება 100 ლარით

7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციართა) კატეგორია და რაოდენობა

1. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, მათ შორის არანაკლებ 3 (სამი) 18 წლამდე ასაკის;

2. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) ოჯახები, რომელთაც 2012 წელში შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი.

## 8. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი	სულ ხარჯები	შენიშვნა
1	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	250	700	175 000	
2	მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შეძენაზე მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	მე-4 შვილზე- 400ლარი, მე-5 შვილზე 500 ლარი, ყოველ შემდეგ შვილზე 100 ლარის დამატებით	20 000	
	<b>სულ ხარჯი</b>				<b>195 000</b>	

## 9. დამატებითი ინფორმაცია:

- ა** - დახმარების გაცემა მოხდება დედაზე, მამაზე ან სხვა უფლებამოსილ წარმომადგენელზე
- ბ** - სავალდებულოა შვილის შეძენის მომენტისათვის ორივე მშობელი იყოს რეგისტრირებული (მცხოვრები) ქალაქ ქუთაისში, ასევე მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული (მცხოვრები) იყოს ქალაქ ქუთაისში.
- გ** - შესაძლებელია 2011 წელში შვილის შეძენის შემთხვევებზე დახმარება, თუ მასზე 2011 წელში დახმარება არ არის გაცემული.
- დ** - განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტების და გარემოებების საფუძველზე.
- ე** - დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1. ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობა, 2. დედის და მამის პირადობის მოწმობები, 3. ქორწინების მოწმობა (საჭიროებისას), 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (საჭიროებისას), 5. სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით

**10. მოსალოდნელი შედეგი:** მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**11. შეფასების კრიტერიუმები:** დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესება, მრავალშვილიანი ოჯახების კმაყოფილება

**12. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** ქ. ქუთაისის მერიის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

## სამსახურის უფროსი

კახა ქორიძე

შეთანხმებულია:

ნიკო კაჭკაჭიშვილი

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე